საწარმოო დანაკარგები

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, დანაკლისი არის გადასახადის გადამხდელის ბუღალტრულ ჩანაწერებთან შედარებისას გამოვლენილი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ან/და ძირითადი საშუალებების ნაკლებობა.

ამასთან, შემოსავლების სამსახური უფლებამოსილია, დაადგინოს ამავე სამსახურში შექმნილი შესაბამისი კომისიის მიერ სხვადასხვა საქონელზე შემუშავებული დანაკარგების მაქსიმალური ზღვრული ოდენობა, რომლის ფარგლებში არსებული საწარმოო დანაკარგები არ ჩაითვლება დანაკლისად და შესაბამისად არ დაიბეგრება.

კერძოდ, შემოსავლების სამსახურის მიერ დადგენილია დანაკარგების ნორმები: მეტალურგიაზე, აქციზურ მარკებზე, ბამბაზე, თხილზე, მინის წარმოებაზე, მარცვლეულზე, შაქრის წარმოებაზე, თაბაშირ-მუყაოს ფილების წარმოებაზე, ნატურალური წვენის წარმოებაზე, ჩაუმქრალი კირის წარმოებაზე, სხვადასხვა ნავთობპროდუქტებზე. აგრეთვე, ნედლ ნავთობზე, მაზუთზე, ზეთებზე, თხევად აირზე და სხვა რამოდენიმე ტექნიკური მოხმარების ნედლეულზე.

გარდა აღნიშნულისა, რეგულირებული საწარმოებისთვის განისაზღვრა ელექტროენერგიის სასადგურე დანაკარგი; დამტკიცდა მცურავ საშუალებებზე დატვირთული ან მცურავი საშუალებებიდან გადმოტვირთული საქონლის ოდენობის „დრაფტ სურვეის“ (Draught/Draft survey) მეთოდით განსაზღვრისას დასაშვები ცდომილების ნორმა; დამტკიცდა მეთოდური მითითება ,,სავაჭრო ობიექტებში გამოვლენილი საქონლის (სურსათის) არაარსებითი დანაკარგების დანაკლისად განუხილველობის თაობაზე.“

საწარმოო და ბუნებრივი საწარმოო დანაკარგების შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია განთავსებულია შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე
(იხ. ბმული https://rs.ge/OrdersoftheHeadoftheRevenueService?cat=4&tab=1)